ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4664365

ნომერი: AR1704772

თარიღი : 03.09.2019

გაცემის თარიღი : 11.09.2019

გაცნობის თარიღი : 13.09.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ოთარ ონიაშვილის ქუჩა N72;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატო ალფაიძე პ/ნ 01010013199
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 2 ბ. 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 03 სექტემბრის #AR1704772 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.10.12.043.016 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას რომლის პასუხად გაცნობებთ:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების, ინდივიდუალური პარამეტრების დადგენასთან დაკავშირებით ნებართვა გაცემულია არსებული შენობის რეკონსტრუქციის (ორი სართულის დაშენების) შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ხოლო წარმოდგენილი განაცხადით ითხოვთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ახალ მშენებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს ფუნქციური ზონებისთვის (სზ–6) დადგენილ ნორმებს (ნაკვეთის სიგანით და ფართობით), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2019 წლის 03 სექტემბრის #AR1704772 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.